ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4645563

ნომერი: AR1702276

თარიღი : 20.08.2019

გაცემის თარიღი : 25.08.2019

გაცნობის თარიღი : 26.08.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სამგორი , N 2 , (ნაკვეთი N8/78);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ბოლქვაძე პ/ნ 01005036971
- საქართველო, ქალაქი თბილისი, გლდანის მასივი, VII მიკრო/რაიონი, კორპუსი 1, ბინა 54

ორგანიზაცია:

- შპს დაზი კოდი: 406181741

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: წარმოდგენილი დოკუმენტაციით სარეკონსტრუქციო ფასადი გადატვირთულია საპროექტო სარეკლამო აბრებით, იგი საკმაოდ ჭრელია სხვადასხვა სიმბოლოებით, შესაბამისად სამსახურს მსგავსი სახით სარეკლამო აბრების მოწყობა შესაძლებლად არ მიაჩნია. საჭიროა საპროექტო დავალებით განსაზღვრული აბრების რაოდენობის შემცირება, მხატვრულ ვიზუალური ელფერის სადა და მსუბუქი ფორმულირების შემუშავება, ასევე აბრებზე უნდა იყოს მხოლოდ ძირითადი მანიშნებელი და არა გადატვირთული ხასიათის სიმბოლოები. გამომდინერე აქედან, სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია მხოლოდ ღიობების თავზე ჰორიზონტალური აბრის და სტიკერების მოწყობა (ყრუ კედელზე ვერტიკალური აბრების გარეშე).

ასევე გასათვალისწინებელი:

- „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების მე–18 მუხლის მე–10 პუნქტის განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20 %-ს.

აღნიშნულის შესაბამისად, დაანგარიშდეს სარეკონსტრუქციო ფასადისა და სარეკლამო აბრების პროცენტულობა და დატანილ იქნას ფოტომონტაჟზე. ასევე, როგორც არსებულ ფოტოზე, ისე ფოტომონტაჟზე კონტურის სახით მონიშნეთ სარეკონსტრუქციო ფართი შესაბამისი გაბარიტული ზომებით. გაითვალისწინეთ: სარეკლამო აბრები უნდა განათავსოთ თქვენი კუთვნილი ფართის ფასადზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმოსადგენი იქნება იმ ფართის მესაკუთრის თანხმობა, საჯარო რეესტრის ამონაწერთან ერთად, ვის ფართზეც მოხდება სარეკლამო აბრის განთავსება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოსადგენია განახლებული ფოტომონტაჟი ყველა მასალისა და გაბარიტული ზომის მითითებით.

გარდა ამისა:

1. აღნიშნულ ობიექტზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ 10.07.2017 წ. გაცემულია მითითება №002963, რომელიც ეხება სარეკლამო აბრასაც. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის წარმოდგენის შემდეგ ან მოახდინოთ მისი დემონტაჟი და წარმოადგინოთ დემონტაჟის შემდგომი ფოტომასალა და მუნიციპალური ინსპექციის შესაბამისი აქტი (ბრძანება).

2. განმცხადებლის უფლებამოსილება არ დგინდება. წარმოსადგენია შპს „დაზის" მიერ განმცხადებელზე გაცემული მინდობილობა. ასევე, საჭიროა, წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციაც.

3. მეტი თვალსაჩინოებისათვის დამატებით ატვირთეთ საკადასტრო გეგმა საპროექტო ადგილის მონიშვნით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.